შ.პ.ს. „გრაალი - 777“

დამკვეთი: შ.პ.ს. „დუგლაძეების ღვინის კომპანია“

ობიექტი: ქ.თბილისი. თ.ჩანტლაძის ქ.№8 (საკ. კოდი 01.19.16.001/034)
სამრეწველო შენობის დემონტაჟი.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ქ.რუსთავი

2020 წელი

პროექტის შემადგენლობა:

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. უსაფრთხოების ტექნიკა

VII. მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტის ჩამონათვალი

ბ) გრაფიკული ნაწილი

1. მოპ: სამშენებლო გენგეგმა
2. მოპ: მშენებლობის კალენდარული გეგმა (გრაფიკი)

ა) განმარტებითი ბარათი

1. შესავალი

წინამდებარე, ქ.თბილისში, თ.ჩანტლაძის ქ.№8 (საკ. კოდი 01.19.16.001/034) შ.პ.ს. „დუგლაძეების ღვინის კომპანიას“-ს ტერიტორიაზე მდებარე შენობის დემონ-ტაჟის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. „არქიმედი“-ს მიერ, დამკვეთისაგან მიღებული მასალების საფუძველზე.

წინამდებარე პროექტი დამუშავებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე:

1. სნ. დაწ. 3.01.01. – 85“ – „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნ. დაწ. 1.04.03. – 85“ – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნ. დაწ. III-4-80“ – „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და ასევე სხვა ნორმატიული დოკუმენტის თანახმად.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო შენობა არის სწორკუთხედის ფორმის, ზომებით: 18,4x12,07 მ.; სიმაღლე - 9,0 მ.; შენობა არის ერთსართულიანი, სარდაფის გარეშე. შენობის მზიდი კედლები - ანაკრები რკინაბეტონის საკედლე პანელები და სენდვიჩპანელები, დამაგრებული ლითონის სვეტებზე.

სახურავი - თუნუქის ფურცლის, ლითონის ფერმებზე. შენობა დასაძირკვლებულია მიწის ზედაპირიდან 0,2 მ. სიმაღლეზე, თიხნარ გრუნტებზე. საძირკვლები არის წერტილოვანი ტიპის, მონოლითური რკინაბეტონის.

ტექნიკური თვალსაზრისით, კორპუსის მზიდი კონსტრუქციები მნიშვნელოვნად ამორტიზებულია. კერძოდ, მზიდი კედლების სისტემას დაქვეითებული აქვს სიმტკიცის მარაგი. ამის გამო, აღნიშნული შენობა ექვემდებარება სრულ დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხამგრძლივობა

სამრეწველო შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნ. დაწ. 1.04.03. – 85“ – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს დამატების „დამხმარე მშენებლობის და რეკონსტრუქციის სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის“ საფუძველზე და შეადგენს სადემონტაჟო კორპუსის მთლიანად განთავისუფლების დღიდან 4 თვეს.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა

სამრეწველო შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად: I რიგი - მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები, II რიგი - ძირითადი პერიოდის სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები: 1) დროებითი შემოღობვის მოწყობა, 2) შენობის შიგა კომუნიკაციების გამორთვა გარე ქსელებიდან, 3) დროებითი შენობა-ნაგებობის დადგმა, 4) სასაწყობო მოედნის მოწყობა. ძირითად პერიოდში სრულდება შენობის სადემონტაჟო სამუშაოები.

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს როგორც ელემენტების მიხედვით, ასევე გამსხვილებულ ბლოკებად.

ელემენტების მიხედვით დაშლა სწარმოებს როგორც ხელით, ასევე ხელის მანქანების გამოყენებით.

პირველ რიგში უნდა მოხდეს შენობის შიგა კომუნიკაციების გამორთვა გარე ქსელებიდან (ელ.გაყვანილობა, წყალსადენი, კანალიზაცია, გაზი და სხვა), შემდეგ კი დაიწყოს დემონტაჟი.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან ქვევით“ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ტექნოლოგიური კონსტრუქციები - შიგა კომუნიკაციები (ელ.გაყვანილობა, წყალსადენი, კანალიზაცია და სხვა)
2. შემოსაზღვრული კონსტრუქციები:
   ა) ჰორიზონტალური (სახურავი, იატაკები, გადახურვა)
   ბ) ვერტიკალური (კარები, ფანჯარა, ვიტრაჟი)
   გ) მზიდი კედლები (საკედლე პანელები და სენდვიჩპანელები)
   დ) ზეძირკველი და საძირკველი

სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება თანმიმდევრობითი ელემენტური დაშლის ხერხით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს შენობის კონტურის გარშემო წარმოიშობა სახიფათო ზონა, რომლის რადიუსი არის 4,0 მ. სახიფათო ზონა უნდა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და მოექცეს დროებითი ღობის კონტურში. სამშენებლო მოედანი უნდა შემოიღობოს დროებითი ღობით.

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სამუშაოთა წარმოების მეთოდები (დამუშავებული იქნას სამშებელო ორგანიზაციის მიერ).

VI. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნ. დაწ. III-4-80“ – ის „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული წესებით და ინსტრუქციებით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისა და უსაფრთხოების ტექნიკის მეთოდები და ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა ქსელები (ელ.გაყვანილობა, წყალსადენი, კანალიზაცია და სხვა) აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვები - განწესის საფუძველზე.

სამრეწველო შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას შენობის კონტურის გარშემო სახიფათო ზონის საზღვარი შეადგენს 4,0 მეტრს. სახიფათო ზონა უნდა აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და მოექცეს დროებითი ღობის კონტურში.

VII. მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტის ჩამონათვალი

სამრეწველო შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისათვის საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, СКГ- 40, ტვირთამწეობით 25 ტონა - 1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“ - ეო-3322ბ, ტევადობით 0,5 $მ^3$ – 1 ცალი
3. ბულდოზერი დტ-100 – 1 ცალი;
4. მოძრავი კომპრესორი ЗИФ – 55 - 1 ცალი;
5. მცირე მექანიზაციის საშუალებები - 1 კომპლექტი
6. პნევმატური სამტვრევი ჩაქუჩი - 1 ცალი;
7. ავტოთვითმცლელი - 1 ცალი;
8. „ბორტიანი“ ავტომანქანა - 1 ცალი;

შ.პ.ს. „გრაალი - 777“-ს დირექტორი: /გ.ქემაშვილი

შეასრულა: /გ.ქემაშვილი/

სამშენებლო გენგეგმა



1. სადემონტაჟო შენობა
2. ღია ტიპის საწყობი
3. დროებითი სანკვანძი
4. მუშათა გასახდელები
5. ოფისი

შპს „ზრაალი-777"			ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, თ.ჩანტლაძის ქუჩა №8. დამკვეთი: შპს „ძღუღლაძეების ღვინის კომპანია",
დირექტ.	გ.ქემაშვილი		
არქიტექტ.	ა.ჩოქური		მინაარსი: საწარმოო შენობა-ნაგებობა 07/1-ის დემონტაჟის პროექტი.
შემსრ.	გ.ქემაშვილი		სამშენებლო გენგეგმა

წელი	სტადია	ფურც.
2020	მ.პ	

ჭრილი 1-1



შპს „ბრაპლი0-777„			ობიექტის მისამართი: ქობულეთი, თამარ ტაბატაძის ქუჩა №8.				
დირექტ.	გ.ქემაშვილი		დამკვეთი: შპს „ლუშლაძეების ღვინის კომპანია",				
არქიტექტ	ა.ჩოქურა		მინაარსი: საწარმოო შენობა-ნაგებობა 07/1-ის დემონტაჟის პროექტი.				
შესრ.	გ.ქემაშვილი		ჭრილი 1-1		წელი	სტადია	ფურც.
					2020	მ.პ	

სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი

№	დასახელება	სამუშ. ხანგრძ.	თვეები			
			I	II	III	IV
1	2	3	4	5	6	7
1	ტერიტორიის მომზადება	10	10			
2	სახურავის დემონტაჟი	20	20	20		
3	კარ-ფანჯრების დემონტაჟი	5		5		
4	კედლების და კოლონების დემონტაჟი	15		15		
5	საძირკვლების დემონტაჟი	20			20	
6	ტერიტორიის გასუფთავება	15			15	15
7	სხვადასხვა სამუშაოები	100	100	100	100	100

T=100 დღე (4 თვე)

შპს „ბრაალდი-777„			ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, თ.ჩანტლაძის ქუჩა №8.			
დირექტ.	გ.ქემაშვილი		დამკვეთი: შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია",			
არქიტექტ.	ა.ჩოქური		მისამართი: საწარმოო შენობა-ნაგებობა 07/1-ის დემონტაჟის პროექტი.			
შეასრ.	გ.ქემაშვილი		სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი	წელი	სტადია	ფურც.
				2020	მ.პ	